განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრი
NATIONAL CENTER FOR EDUCATIONAL QUALITY ENHANCEMENT

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა
უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

მშენებლობა, დოქტორანტურა

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

შეფასების თარიღი: 25 ივლისი 2022 წელი

დასკვნის წარდგენის თარიღი

26 აგვისტო 2022 წელი

თბილისი

ინფორმაცია უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების შესახებ[1]

დაწესებულების სახელწოდება ორგანიზაციულ-სამართლებრივი ფორმის მითითებით	სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი
დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდი	211349192
დაწესებულების სახე	უნივერსიტეტი

ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ

საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება	მშენებლობა
უმაღლესი განათლების საფეხური	დოქტორანტურა
მისანიჭებელი კვალიფიკაცია[2]	მშენებლობის ინჟინერიის დოქტორი
დეტალური სფეროს დასახელება და კოდი	0732
ზოგადი განათლების შესაბამისი საფეხურის საგნის/საგნების/საგნობრივი ჯგუფის სწავლების უფლების მითითება (მასწავლებლის მომზადების ინტეგრირებული საბაკალავრო-სამაგისტრო საგანმანათლებლო პროგრამის ან მასწავლებლის მომზადების საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში)	-----
სწავლების ენა	ქართული
ECTS კრედიტების რაოდენობა	55 (სასწავლო კომპონენტი)
პროგრამის სტატუსი (ავტორიზებული/აკრედიტებული/პირობით აკრედიტებული/ახალი/საერთაშორისო აკრედიტაცია) შესაბამისი გადაწყვეტილების მითითებით (ნომერი, თარიღი)	აკრედიტებული საგანმანათლებ-ლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 18 ივნისის № 594800 გადაწყვეტილება

ექსპერტთა ჯგუფის წევრები

თავმჯდომარე (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	თეიმურაზ ჯოჯუა, სსიპ-შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო
წევრი (სახელი, გვარი, უსდ/ორგანიზაცია, ქვეყანა)	ნინო დონდოლაძე, სსიპ-შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტი, საქართველო

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის შემაჯამებელი დასკვნა

[1] ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის შემთხვევაში: მიეთითება ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განმახორციელებელი დაწესებულებები; „დაწესებულების საიდენტიფიკაციო კოდის“ და „დაწესებულების სახის“ მითითება არ არის სავალდებულო უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებული უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებ(ებ)ისათვის

[2] უცხო ქვეყნის კანონმდებლობის შესაბამისად აღიარებულ უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან ერთად ერთობლივი უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის განხორციელების შემთხვევაში თუ განსხვავდება მისანიჭებელი კვალიფიკაციის ფორმულირება, მიეთითება ცალ-ცალკე დაწესებულებების მიხედვით

- **ზოგადი ინფორმაცია საგანმანათლებლო პროგრამის შესახებ**

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტში ხორციელდება სადოქტორო პროგრამა „მშენებლობა“, რომელიც აკრედიტებულია საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის საბჭოს 2021 წლის 18 ივნისის №594800 გადაწყვეტილების შესაბამისად. „მშენებლობის“ სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამას 7 წლის ვადით მიენიჭა აკრედიტაცია ერთი წლის თავზე მონიტორინგის პირობით და ანგარიშის წარმოდგენით.

აკრედიტაციის საბჭომ დაწესებულებას განუსაზღვრა 7 რეკომენდაცია და 3 რჩევა.

მონიტორინგისთვის წარმოდგენილი იქნა დოკუმენტაცია, რომელშიც ნათლადაა ასახული საბჭოს მიერ განსაზღვრული რეკომენდაციებისა და რჩევების გათვალისწინება.

პროგრამის სწავლების ხანგრძლივობა შეადგენს არანაკლებ 3 აკადემიურ წელს, სასწავლო კომპონენტის ერთობლიობა 55 კრედიტს შეადგენს. სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან, რომელიც დოქტორანტმა უნდა გაიაროს პირველ და მეორე სემესტრში. სასწავლო კომპონენტის სავალდებულო კურსებისათვის განსაზღვრულია 40 კრედიტი, არჩევითი სასწავლო კურსებისათვის - 15 კრედიტი. კომპონენტის ყოველი სასწავლო კურსის სილაბუსში აღწერილია კომპონენტის მიზნები, კრედიტების რაოდენობა და საათების განაწილება სტუდენტის დატვირთვის შესაბამისად, დაშვების წინაპირობები, სწავლის შედეგები, შინაარსი, სწავლების/სწავლის მეთოდები, შეფასების კრიტერიუმები, ძირითადი და დამხმარე ლიტერატურა. ყოველივე ეს კრედიტების მოცულობის გათვალისწინებით, უზრუნველყოფს ამ კომპონენტით დასახული მიზნებისა და სწავლის შედეგების მიღწევას.

სპეციალობის სასწავლო კურსებში განახლებულია ლიტერატურა, შეცვლილია შეფასების კომპონენტები და მეთოდები.

საექსპერტო შეფასებისას გამოიკვეთა, რომ პროგრამის დამუშავებაში ჩართული იყო ყველა დაინტერესებული მხარე, ცვლილებები განხორციელებულია კურსდამთავრებულთა და პოტენციურ დამსაქმებლებისაგან მიღებული ინფორმაციის განალიზების, ასევე დარგის მოთხოვნების გათვალისწინებით. იგი ეთანხმება თანამედროვე მოთხოვნებს და დამუშავებულია სწავლის თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად.

პროგრამის თანმხლები წარმოდგენილი დოკუმენტაცია მოიცავს საჭირო ინფორამაციას და ლოგიკურად ებმის ერთმანეთს. ინტერვიუების დროს გამოჩნდა ხელმძღვანელობის, პერსონალის, სტუდენტთა, კურსდამთავრებულთა და დამსაქმებელთა ჩართულობა და დაინტერესებულობა.

- **აკრედიტაციის ვიზიტის მიმოხილვა**

სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის 2022 წლის 30 ივნისის № 740047 ბრძანებით 2022 წლის 25 ივლისს განხორციელდა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამის “მშენებლობა“ საექსპერტო შეფასება-აკრედიტაციის პირობების შესრულების გეგმიური მონიტორინგი. განათლების პროგრამის შეფასება განხორციელდა დისტანციურად, კომუნიკაციის თანამედროვე ელექტრონული საშუალების, კერძოდ ონლაინ პლატფორმა - zoom-ის გამოყენებით. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფი წინასწარ გაეცნო სააკრედიტაციო მასალას, ხოლო დაწესებულებაში შეფასების მიმდინარეობისას ექსპერტები შეხვდნენ პროგრამაში ჩართულ მხარეებს.

აკრედიტაციის სტანდარტებთან და კომპონენტებთან შესაბამისობის დადგენის მიზნით, ექსპერტთა ჯგუფმა გეგმიური მონიტორინგის ფარგლებში შემოწმებისას ძირითადი ყურადღება გაამახვილა საბჭოს მიერ მოცემულ მითითებებზე, ასევე პირვანდელ აკრედიტაციის დასკვნაში გაწერილი რეკომენდაციებისა და რჩევების შესრულებაზე

საგანმანათლებლო პროგრამის სტანდარტებთან შესაბამისობის მოკლე მიმოხილვა

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების აკრედიტაციის სტანდარტების შესაბამისად, სსიპ - განათლების ხარისხის განვითარების ეროვნული ცენტრის აკრედიტაციის ექსპერტთა მიერ შემოწმდა სსიპ - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სადოქტორო პროგრამა "მშენებლობა", რის შედეგადაც გამოიკვეთა შემდეგი:

1. **საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

1.1. პროგრამის მიზნები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
1.2. პროგრამის სწავლის შედეგები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

2. **სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

2.1. პროგრამაზე დაშვების წინაპირობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.2. საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.3. სასწავლო კურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.4. პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.5. სწავლება-სწავლის მეთოდები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
2.6. სტუდენტების შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

3. **სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან**

3.1. სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;
3.2. მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან.

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

4.1. ადამიანური რესურსი - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

5.1. შიდა ხარისხის შეფასება - შესაბამისობაშია მოთხოვნებთან;

- **რეკომენდაციები**

- რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
- საუკეთესო პრაქტიკის მოკლე მიმოხილვა (არსებობის შემთხვევაში)
- ხელახალი აკრედიტაციისას, მნიშვნელოვანი მიღწევებისა და/ან პროგრესის მოკლე მიმოხილვა (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

პროგრამის შესაბამისობა აკრედიტაციის სტანდარტებთან

1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა

პროგრამას აქვს ნათლად ჩამოყალიბებული მიზნები და სწავლის შედეგები, რომლებიც ლოგიკურადაა ერთმანეთთან დაკავშირებული. პროგრამის მიზნები შეესაბამება უნივერსიტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიულ გეგმას. პროგრამის გაუმჯობესებისთვის მუდმივად ფასდება პროგრამის სწავლის შედეგები.

1.1 პროგრამის მიზნები
პროგრამის მიზნები ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულის მომზადებისკენ არის მიმართული და რა წვლილი შეაქვს სფეროსა და საზოგადოების განვითარებაში.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის მასალების, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ პროგრამის მიზანი შეესაბამება დეტალური სფეროს აღმწერით განსაზღვრულ კვალიფიკაციას, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის და სამშენებლო ფაკულტეტის მისიას, მიზნებსა და სტრატეგიას; საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი ნათლად ასახავს, თუ რა ცოდნის, უნარებისა და კომპეტენციების მქონე კურსდამთავრებულებს ამზადებს პროგრამა და რა წვლილი შეაქვთ მათ დარგისა და საზოგადოების განვითარებაში. საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს ადგილობრივი შრომის ბაზრის მოთხოვნებსა და საერთაშორისო ბაზრის ტენდენციებს, ასევე, მეცნიერების, სახელმწიფოს და საზოგადოების განვითარების მოთხოვნებს; პროგრამის სამუშაო პროცესში აქტიურად ჩართული არიან კურსდამთავრებულები, სტუდენტები და დამსაქმებლები. ინტერვიუებიდან ირკვევა, რომ აკრედიტაციის მონიტორინგის ფარგლებში დამსაქმებელთა ჯგუფს კიდევ დაემატა შპს „აქსისი“ და შპს „დაგი“. სამშენებლო კომპანიები მრავალი წელია რეალურად თანამშრომლობენ სამშენებლო ფაკულტეტის აკადემიურ პერსონალთან, სტუდენტებთან და კურსადმთავრებულებთან. კომპანიაში დასაქმებულია ამ ფაკულტეტის სამივე საფეხურის კურსდამთავრებულები. ისინი სავსებით აკმაყოფილებენ სამშენებლო ბაზრის მოთხოვნებს, რაც ადასტურებს, რომ დოქტორანტურის პროგრამის სწავლება-სწავლის მიზნები და შედეგები მოქნილია და სრულიად ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. იგი იძლევა შესაძლებლობას კურსდამთავრებულებმა დამოუკიდებლად განახორციელონ მშენებლობის ინჟინერიის სფეროს ინოვაციურ საინჟინრო-ტექნოლოგიურ მიღწევებზე დამყარებული პრაქტიკული და სამეცნიერო კვლევითი საქმიანობა, აკადემიური და ხელმძღვანელობითი კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით. რეკომენდაცია პროგრამის სწავლის მიზნები თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანის შესახებ შესრულებულია და ასე ჩამოყალიბდა: **მიზანი 1**: შესძინოს კურსდამთავრებულებს მშენებლობის ინჟინერიის სფეროს, საჯარო (საზოგადოებრივი), კომერციული, ინდუსტრიული და საცხოვრებელი სტრუქტურების

(ასევე მათი აღჭურვის) მონტაჟის, აგებისა და მათი შენარჩუნების ინოვაციური ტექნოლოგიების შემუშავების, კვლევის და გამოყენების უახლეს მიღწევებზე დამყარებული ცოდნა.

მიზანი 2: შესძინოს კურსდამთავრებულებს აკადემიური/პედაგოგიური საქმიანობის, აგრეთვე სამშენებლო ინჟინერიის სფეროში ინოვაციური კვლევის განხორციელების უნარი, ჩამოუყალიბოს სფეროს მუდმივად განვითარებაზე ორიენტირებული ხედვა და განუვითაროს შესაბამისი უნარები აკადემიურ და სფეროს მკვლევართა საზოგადოებაში თავისუფლად ინტეგრაციისათვის.

მიზანი 3: შესძინოს კურსდამთავრებულებს მშენებლობის ინჟინერიის დარგის წინაშე მდგარი გლობალური სოციალური, ეკოლოგიური და/ან ეკონომიკური გამოწვევების ანალიზის, შეფასების, გადაწყვეტის უნარი ხელმძღვანელობითი, აკადემიური და პროფესიული კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.

მონიტორინგის ფარგლებში ასევე დამატებით წარმოდგენილი იქნა დამსაქმებლების შპს „აქსისის“ და შპს „დაგის“ გამოხმაურებები, რომელთაც აღნიშნეს, რომ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობა“ წარმოდგენილი ვარიანტის მიზნები მისაღებია დამსაქმებლებისათვის, მიზნები მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობა“;
2. სასწავლო კურსების სილაბუსები;
3. ამონაწერი სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან #4;
4. სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოხმაურება;
5. დამსაქმებლების შპს „აქსისისა’ და შპს „დაგის’ გამოხმაურებები;
6. შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი;
7. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

- წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

- არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

- გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან

☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

1.2 პროგრამის სწავლის შედეგები

- პროგრამის სწავლის შედეგები აღწერს იმ ცოდნას, უნარებსა ან/და პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას, რომლებსაც სტუდენტი იძენს პროგრამის დასრულებისას;
- პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების პროცესი მოიცავს სწავლის შედეგების გასაზომად საჭირო მონაცემთა განსაზღვრას, შეგროვებასა და ანალიზს;
- შეფასების შედეგები გამოიყენება პროგრამის გასაუმჯობესებლად.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის მასალების, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობა“ სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვალისწინებულ ძირითად ცოდნას, უნარებს, პასუხისმგებლობასა და ავტონომიურობას და პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულება უზრუნველყოფს პროგრამის მიზნებისა და კვალიფიკაციისათვის აუცილებელი შედეგების მიღწევას.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგები შეესაბამება საქართველოს განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის 2019 წლის 10 აპრილის №69/ნ ბრძანების №1 დანართით დამტკიცებული „ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს“ პირველი მუხლით დადგენილ კვალიფიკაციის სირთულის განმსაზღვრელ ელემენტს, რომელიც აერთიანებს „ცოდნითა და გაცნობიერებით“, „უნარით“ და „პასუხისმგებლობითა და ავტონომიურობით“ აღწერილ, განზოგადებულ სწავლის შედეგებს.

მონიტორინგის მასალებზე დაყრდნობით და ვიზიტის დროს ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა, რომ სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პროცესში ჩართული იყვნენ აკადემიური და მოწვეული პერსონალი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, სტუდენტები და კურსდამთავრებულები, დამსაქმებლები. საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების გეგმის მიხედვით ნათლად ჩამოყალიბდა სწავლის შედეგები, რომლებიც შეესაბამება პროგრამის მიზნებს და ასახულია სწავლის შედეგების რუკაზე.

საგანმანათლებლო პროგრამის ფარგლებში, დამსაქმებელთა მოთხოვნების კვლევის საფუძველზე, დადგინდა ამ მიმართულებით რა ცოდნა და უნარებია პრიორიტეტული დასაქმებისათვის.

ვიზიტის დროს დამსაქმებლებთან ინტერვიუს შედეგად გამოიკვეთა დამსაქმებლების ჩართულობა სადოქტორო პროგრამის სწავლის შედეგების ჩამოყალიბების პროცესში. ისინი გამოთქვამენ მზადოფნას დაასაქმონ სტუ-ს აღნიშნული პროგრამის კურსდამთავრებულები, რადგან დამსაქმებლები თვლიან, რომ კურსდამთავრებულები აკმაყოფილებენ შრომის ბაზრის მოთხოვნებს.

შრომის ბაზრის კვლევის ფარგლებში დამატებით წარმოდგენილი იქნა დამსაქმებლების შპს „აქსისის“ და შპს „დაგის“ გამოხმაურებები, რომელთაც აღნიშნეს, რომ

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობა“ სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის მიზნებს და თავისი შინაარსით სრულად შეესაბამება ჩვენი ქვეყნის სამშენებლო ბაზრის მოთხოვნებს, მისი კურსდამთავრებული მაღალი კვალიფიკაციის კადრი იქნება, რომელიც სამშენებლო ბაზრის მოთხოვნებს აკადემიური და ხელმძღვანელობითი პრინციპების დაცვით წარმატებით გაართმევს თავს.

ამდენად, შეიძლება ჩაითვალოს, რომ საბჭოს რეკომენდაციის შესაბამისად განახლებული პროგრამის სწავლის შედეგები თანამედროვე შრომის ბაზრის მოთხოვნებს შეესაბამება.

პროგრამის სწავლის შედეგების შეფასება ხდება თანმიმდევრულად და გამჭვირვალედ, ითვალისწინებს დარგის სპეციფიკას, მოიცავს შეფასების ადეკვატურ ფორმებსა და მეთოდებს, საშუალებას იძლევა დადგინდეს, თუ რამდენად მიაღწიეს კურსდამთავრებულებმა საგანმანათლებლო პროგრამით გათვალისწინებულ სწავლის შედეგებს;

სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინა რეკომენდაცია პროგრამის მე-6 სწავლის შედეგის მოდიფიცირების შესახებ, რათა ის მეტად მიღწევადი და გაზომვადი იყოს. პროგრამის მე-6 სწავლის შედეგი, რომელიც ასე იყო ჩამოყალიბებული: „აკადემიური და ხელმძღვანელობითი კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით, დამოუკიდებლად ახორციელებს მშენებლობის ინჟინერიის სფეროს უახლეს საინჟინრო ტექნოლოგიურ მიღწევებზე დამყარებულ ინოვაციურ კვლევით პროექტებს“ შეიცვალა და ასე ჩამოყალიბდა: „დამოუკიდებლად ახორციელებს მშენებლობის ინჟინერიის სფეროს ინოვაციურ საინჟინრო-ტექნოლოგიურ მიღწევებზე დამყარებულ პრაქტიკულ და სამეცნიერო კვლევით საქმიანობას, აკადემიური და ხელმძღვანელობითი კეთილსინდისიერების პრინციპების დაცვით.“ მოცემული სწავლის შედგი შეესაბამება პროგრამის მიზნებს და მოიცავს შინაარსით გათვათვალისწინებულ ცოდნას და უნარებს. იგი გაზომვადი, მიღწევადი და რეალისტურია.

სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის სამუშაო ჯგუფმა ასევე გაითვალისწინა რჩევა „რეკომენდირებულია კურსის „სტრუქტურულ-კომპოზიციური და ტექნოლოგიური თავისებურებანი მშენებლობაში“ სილაბუსში ბოლო სწავლის შედეგის კორექტირება, რათა ის მეტად მიღწევადი და გაზომვადი იყოს“. კურსის „სტრუქტურულ-კომპოზიციური და ტექნოლოგიური თავისებურებანი მშენებლობაში“ სილაბუსში ბოლო სწავლის შედეგი «კრიტიკულად იაზრებს, აღწერს, აფასებს და უზიარებს დაინტერესებულ აუდიტორიას მსოფლიო საინჟინრო სცენაზე მიმდინარე სტრუქტურულ კომპოზიციური და ტექნოლოგიური რიტორიკის ტრიუმფს“ დაკორექტირდა და შემდეგნაირად ჩამოყალიბდა: „კონსტრუქციასა და ფორმას შორის რთული ურთიერთკავშირიდან გამომდინარე, კრიტიკულად იაზრებს, აღწერს, აფასებს და უზიარებს დაინტერესებულ აუდიტორიას, ახალი ტექტონიკური ფორმებით და საინჟინრო გადაწყვეტებით განაშენიანებული სივრცის კომპოზიციური მთლიანობის შენარჩუნების ხერხებს“.

საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების ოპტიმიზაციის მიზნით, გარკვეული პერიოდულობით ხორციელდება სასწავლო კურსების სწავლის შედეგების შეფასების ანალიზი და სამიზნე ნიშნულებთან დადარება. სწავლის შედეგების შეფასების ანალიზის საფუძველზე ხორციელდება საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელე-ბელი ცვლილებების განსაზღვრა. ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ ხდება ფაკულტეტის საბჭოს წინაშე აღნიშნული საკითხის წარდგენა. ფაკულტეტის

საბჭო იღებს გადაწყვეტილებას საგანმანათლებლო პროგრამაში განსახორციელებელი ცვლილებების შესახებ და საჭიროების შემთხვევაში, პროგრამის მოდიფიცირების საკითხი ეგზავნება უნივერსიტეტის აკადემიურ საბჭოს დასამტკიცებლად. საგანმანათლებლო პროგრამის არაპირდაპირი შეფასების უზრუნველყოფის მიზნით ფაკულტეტზე შემუშავებულია მექანიზმი, რომელიც უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამის შემუშავება/განვითარებაში ყველა დაინტერესებული მხარის ჩართულობას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობა“; 2. სასწავლო კურსების სილაბუსები; 3. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის „მშენებლობა“ შესახებ; 4. პროგრამის სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი; 5. შრომის ბაზრისა და დამსაქმებელთა მოთხოვნების ანალიზი; 6. სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში, დანართი 1; 7. სსიპ ბათუმის შოთა რუსთაველის სახელმწიფო უნივერსიტეტის გამოხმაურება; 8. დამსაქმებლების შპს „აქსისისა’ და შპს „დაგის’ გამოხმაურებები; 9. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			

2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა

პროგრამაზე დაშვების წინაპირობები, პროგრამის სტრუქტურა, შინაარსი, სწავლება-სწავლის მეთოდები და სტუდენტთა შეფასება უზრუნველყოფს დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

2.1 პროგრამაზე დაშვების წინაპირობები
უსდ-ს განსაზღვრული აქვს პირთა პროგრამაზე დაშვების შესაბამისი, გამჭვირვალე, სამართლიანი, საჯარო და ხელმისაწვდომი წინაპირობები და პროცედურები.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის მასალების და მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით გამოიკვეთა, რომ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვის მსურველმა უნდა წარმოადგინოს: კვლევითი პროექტი, სადაც გამოიკვეთება აპლიკანტის კვლევის მიზანი და მიმართულება; სავალდებულოა ინგლისური ენის არანაკლებ B2 დონეზე ფლობის დამადასტურებელი სერთიფიკატის/დოკუმენტის წარმოდგენა. აპლიკანტი, რომელიც ვერ წარმოადგენს აღნიშნულ სერტიფიკატს, ვალდებულია ტესტირება გაიაროს სტუ-ს კომპიუტერულ ცენტრში ინგლისურ ენაში. აპლიკანტებს, რომლებსაც ერთ-ერთი საფეხურის უმაღლესი განათლება მიღებული აქვთ ინგლისურ ენაზე გამოცდის ჩაბარება ან სერტიფიკატის წარმოდგენა არ მოეთხოვებათ; გარდა ამისა ინგლისურ ენაში დადებითი შეფასების მიღების შემთხვევაში აპლიკანტი გადის გასაუბრებას საფაკულტეტო დროებით კომისიასთან. დოქტორანტურაში მიღების წესი და ჩარიცხვის პირობები მოცემულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე: https://gtu.ge/ საგანმანათლებლო პროგრამაზე ჩარიცხვა, ასევე, შესაძლებელია, მობილობის წესით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2010 წლის 2 თებერვლის ბრძანება №10/ნ-ით დამტკიცებული „უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულებიდან სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში გადასვლის წესის“ შესაბამისად. https://gtu.ge/Study-Dep/Files/Pdf/brZ_10n_16032018_SD.pdf საგანმანათლებლო პროგრამაზე ასევე დაიშვებიან მსურველები შიდა მობილობის წესით. შიდა მობილობის ვადები და პროცედურები დგინდება უნივერსიტეტის რექტორის ბრძანებით და ინფორმაცია თავსდება უნივერსიტეტის ვებგვერდზე.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობა“;

2. სასწავლო კურსების სილაბუსები;
3. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის „მშენებლობა“ შესახებ;
4. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგები.

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.2 საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა და შინაარსი

პროგრამა შედგენილია უსდ-ში მოქმედი საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავებისა და განვითარების მეთოდოლოგიის გამოყენებით. პროგრამის შინაარსი ითვალისწინებს პროგრამაზე დაშვების წინაპირობებსა და სწავლის შედეგებს. პროგრამის სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის მასალების, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში შემუშავებულია და აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულია საგანმანათლებლო პროგრამების დაგეგმვის, შემუშავების, შეფასების და განვითარების წესი, რომელიც თითოეული საგანმანათლებლო პროგრამისათვის განსაზღვრავს პროგრამის შედგენის/განვითარების მეთოდოლოგიას.

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობის“ სტრუქტურა თანმიმდევრული და ლოგიკურია. შინაარსი და სტრუქტურა უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას. მისანიჭებელი კვალიფიკაცია შესაბამისობაშია პროგრამის შინაარსთან და სწავლის შედეგებთან. პროგრამის შინაარსი, მოცულობა და კომპლექსურობა შეესაბამება სწავლების საფეხურს. პროგრამის შინაარსი და სტრუქტურა შესაბამისობაშია მისანიჭებელ კვალიფიკაციასთან. პროგრამაში შემავალი სასწავლო

კომპონენტები არის თანმიმდევრულად და ლოგიკურად დალაგებული; შემდგომ კომპონენტზე დაშვების წინაპირობები არის ადეკვატური; საგანმანათლებლო პროგრამის სტრუქტურა: პროგრამა შედგენილია კრედიტების ტრანსფერისა და დაგროვების ევროპული სისტემით (ECTS). საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში 1 კრედიტი უდრის 25 საათს, რომელშიც იგულისხმება როგორც საკონტაქტო, ისე დამოუკიდებელი მუშაობის საათები. კრედიტების განაწილება წარმოდგენილია პროგრამის სასწავლო გეგმაში. პროგრამის ხანგრძლივობაა არა ნაკლებ 3 წელი (6 სემესტრი). მისი სასწავლო კომპონენტი შედგება 55კრედიტისაგან. სადოქტორო პროგრამის სასწავლო კომპონენტი შედგება სავალდებულო და არჩევითი სასწავლო კურსებისაგან, რომელიც დოქტორანტმა უნდა გაიაროს პირველ და მეორე სემესტრში. სასწავლო კომპონენტის სავალდებულო კურსებისათვის განსაზღვრულია 40 კრედიტი, არჩევითი სასწავლო კურსებისათვის - 15 კრედიტი.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამა „მშენებლობა“; 2. სტუ-ს აკადემიური საბჭოს 2019 წლის 23 სექტემბრის №01-05-04/261 დადგენილებით დამტკიცებული „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების, შეფასებისა და განვითარების წესი“ 3. პროგრამის შემუშავებაში ჩართული დაინტერესებული პირების მონაწილეობის მტკიცებულებები; 4. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები:
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.3. სასწავლო კურსი
➢ ძირითადი სფეროს თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შეესაბამება პროგრამის სწავლის შედეგებს, ხოლო ყოველი სასწავლო კურსის/საგნის/ მოდულის/კონცენტრაციის შინაარსი და კრედიტების რაოდენობა შეესაბამება ამ

კურსის სწავლის შედეგებს; ➢ სილაბუსში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია სწავლის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე და უზრუნველყოფს პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის მონიტორინგის მასალების, მასზე თანდართული დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის სწავლის შედეგები შესაბამისობაშია პროგრამის სწავლის შედეგებთან, რაც წარმოდგენილია საგანმანათლებლო პროგრამის დანართი 4 და დანართი 5 - ის სახით. თითოეული სასწავლო კურსის შინაარსი შეესაბამება ამ სასწავლო კურსის სწავლის შედეგებს; ყოველი სასწავლო კურსის კრედიტების რაოდენობა დადგენილია ამ სასწავლო კურსის მიზნით გათვალისწინებული სწავლის შედეგების, სხვადასხვა სწავლა-სწავლების მეთოდების საჭიროებისა და ასათვისებელი მასალის სირთულისა და მოცულობის შესაბამისად. სილაბუსებში მითითებული სასწავლო მასალა დაფუძნებულია მშენებლობის ინჟინერიის სფეროს აქტუალურ მიღწევებზე, რომელიც უზრუნველყოფს პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების მიღწევას. თითოეულ სასწავლო კურსში გაწერილია სწავლის შედეგები, რომელიც შეესაბამება საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრულ სწავლის შედეგებს. ფასდება სასწავლო კურსის თითოეული სწავლის შედეგის მიღწევა. სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის სამუშაო ჯგუფმა გაითვალისწინა რეკომენდაცია, რომელიც ასე ჩამოყალიბდა: „სწავლების მეთოდებისა და განათლების მენეჯმენტის სასწავლო კურსის სილაბუსი გასწორდეს და მოვიდეს შესაბამისობაში კურსის მიზანსა და შინაარსთან; როგორც მონიტორინგის მასალებში, ცვლილების ამსახველ დოკუმენტში, კერძოდ დანართი 12-შია მოცემული სასწავლო კურსის სილაბუსი „სწავლების მეთოდები და განათლების მენეჯმენტი“ მოდიფიცირდა, შეიცვალა ავტორი, დაზუსტდა სასწავლო კურსის სახელწოდება და ეწოდა „სწავლების მეთოდები“, დაკორექტირდა მიზნები და შედეგები. სწავლება-სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობებში დაემატა სიმულაციური, როლური თამაშები. მე-5 თემა გაერთიანდა მე-14 თემაში, ლექციებში კი მე-6 თემაში დაემატა სოკრატეს მეთოდი. მე-5, მე-6, მე-7 სემინარი დაკორექტირდა და დაემატა როლური თამაში (იმიტაციური ლექციის ჩატარება); მიმდინარე აქტივობის შეფასება შეიცვალა. ფასდება დიკუსია დებატებით და ქეისებით. ძირითად ლიტერატურაში დაემატა სახელმძღვანელო - მეტრეველი ლ., დისტანციური სწავლება და პანდემია, თბ., 2021წ. „ჩემი გამომცემლობა“ 240 გვ., სტუ ბიბლიოთეკის კეტერი: 371,3; დამხმარე ლიტერატურატურაში დაემატა სახელმძღვანელო - ჩაჩანიძე გ., განათლების თანამედროვე ტექნოლოგიების და ინფორმაციის დიდაქტიკა, თბ., 2020წ. შესაბამისად სილაბუსის მიზანი და შინაარსი მოვიდა შესაბამისობაში; სილაბუსებში მითითებული სავალდებულო ლიტერატურა და სხვა სასწავლო მასალა შეესაბამება კურსის სწავლის შედეგებს და სფეროს აქტუალურ მიღწევებს; ასევე, ითვალისწინებს უახლეს კვლევებს მოცემულ სფეროში და უზრუნველყოფს პროგრამის თანამედროვე მოთხოვნებთან შესაბამისობას.

უნივერსიტეტმა ასევე გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია სადისერტაციო ნაშრომებში სამეცნიერო ლიტერატურის განახლებისა და უახლეს მიღწევებზე დაფუძნებული როგორც ქართულენოვანი გამოცემების, ისე უცხოენოვანი პუბლიკაციების გამოყენების შესახებ. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებით განსაზღვრულია მოთხოვნები სადისერტაციო ნაშრომის მაღალი ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განსახორციელებელი აუცილებელი მოთხოვნები, მათ შორის უახლესი სამეცნიერო ლიტერატურის და პუბლიკაციების გამოყენების აუცილებლობა. დებულების მე-5 დანართი „დოქტორის აკადემიური ხარისხის მოსაპოვებლად წარდგენილი დისერტაციის გაფორმების ინსტრუქცია“ არეგულირებს ნაშრომის გაფორმების, მათ შორის ლიტერატურის ციტირების საკითხებს. აკრედიტაციის ექსპერტთა აღნიშნული რეკომენდაციის გათვალისწინებით, 2021 სასწავლო წლის დასრულებისას სამშენებლო ფაკულტეტზე სადისერტაციო ნაშრომების დაცვის ეტაპზე თითოეულ დეპარტამენტში მკაცრად მიექცა ყურადღება რეკომენდაციაში აღნიშნულ საკითხებს, რაც დასტურდება 2022 წლის თებერვალში დაცული დისერტაციების ხარისხით, რომლებშიც გათვალისწინებულია დისერტაციის გაფორმების ინსტრუქციით გათვალისწინებული ნაშრომების გაფორმების წესები და ლიტერატურის ციტირების საკითხები.

ასევე ინტერვიუებიდან და გადმოგზავნილი სადისერტაციო ნაშრომების განხილვის შემდეგ გამოიკვეთა სადოქტორო ნაშრომებში რომელთა დაცვები განხორციელდა 2022 წელს გაზრდილია უცხოენოვანი პუბლიკაციებისა და ლიტერატურის წილი და ისინი უმეტესად 2015-2021 წლებშია გამოცემული.

ამასთან დოქტორანტებს გაეზარდათ უცხოურ ბაზებთან წვდომის შესაძლებლობა.

ტექნიკურმა უნივერსიტეტმა 2021 წლიდან საპარტნიორო ხელშეკრულება გააფორმა 7 უცხოურ ორგანიზაციასთან და უნივერსიტეტთან (https://gtu.ge/Suss/Statements.php). ესენია:

- **მოლდოვის ეკონომიკური კვლევების აკადემია** (კიშინიოვი, მოლდოვეთი)
  (მემორანდუმის გაფორმების თარიღი: 2022)
  (თანამშრომლობის ვადა: 5 წელი, განახლებადი)
- **სილეზიის ტექნოლოგიური უნივერსიტეტი** (გლივიცე, პოლონეთი)
  (მემორანდუმის გაფორმების თარიღი: 04.01.2022)
  (თანამშრომლობის ვადა: 5 წელი, განახლებადი)
- **დნეპროპეტროვსკის შინაგან საქმეთა სახელმწიფო უნივერსიტეტი** (დნეპრი, უკრაინა)
  (მემორანდუმის გაფორმების თარიღი: 15.02.2022)
  (თანამშრომლობის ვადა: 5 წელი, განახლებადი)
- **დრეზდენის გამოყენებითი მეცნიერებათა უნივერსიტეტი** (დრეზდენი, გერმანია)
  (მემორანდუმის გაფორმების თარიღი: 25.09.2021)
  (თანამშრომლობის ვადა: 5 წელი, განახლებადი)
- **კრემსის გამოყენებით მეცნიერებათა** (დუნაის კრემსი, ავსტრია)
  (მემორანდუმის გაფორმების თარიღი:14.09.2021)
  (თანამშრომლობის ვადა: 2 წელი, განახლებადი)
- **ევრაზიის ინოვაციების უნივერსიტეტი** (პავლოდარი, ყაზახეთი)
  (მემორანდუმის გაფორმების თარიღი: 26.11.2021)
  (თანამშრომლობის ვადა: 5 წელი, განახლებადი)
- **ესტერჰაზი კაროის სახელობის კათოლიკური უნივერსიტეტი** (ეგერი, უნგრეთი)
  (მემორანდუმის გაფორმების თარიღი: 18.02.2022)
  (თანამშრომლობის ვადა: 5 წელი, განახლებადი)

მასთან თანამშრომლობის გაფორმება იგეგმება პოლონეთის საერთაშორისო ასოციაციასთან „ნავა“, სადაც 25 დოქტორანტი განახორციელებს ვიზიტს. დოქტორანტები უცხოელ პარტნიორებთან ერთობლივად შეძლებენ კვლევითი თემატიკის დამუშავებას, ერთობლივი სამეცნიერო პუბლიკაციებისა და გამოცემების მომზადებას.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობა“; 2. სასწავლო კურსების სილაბუსები; 3. ამონაწერი სამშენებლო ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან #4; 4. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის „მშენებლობა“ შესახებ; 5. დამსაქმებლების შპს „აქსისისა’ და შპს „დაგის’ გამოხმაურებები; 6. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგები; 7. უნივერსიტეტის ვებ გვერდი https://gtu.ge/Suss/Statements.php.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება ი გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.4 პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარება
პროგრამა უზრუნველყოფს, სწავლის შედეგების შესაბამისად, სტუდენტთა პრაქტიკული, სამეცნიერო/კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო და ტრანსფერული უნარების განვითარებას და/ან მათ კვლევით პროექტებში ჩართვას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი უნივერსიტეტთან ინტერვიუების შედეგად გამოიკვეთა, რომ საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი და სამშენებლო ფაკულტეტი, პროგრამის სწავლის შედეგებისა და სწავლების საფეხურის შესაბამისად, ჩართული არიან სხვადასხვა სამეცნიერო და კვლევით პროექტებსა და აქტივობებში. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ორგანიზებით ყოველწლიურად ტარდება ღია საერთაშორისო კონფერენციები. ბოლო ხუთი წლის სტატისტიკურ

მონაცემებზე დაყრდნობით, აღნიშნულ კონფერენციაში სამშენებლო ფაკულტეტი და კონკრეტულად მშენებლობის დოქტორანტურის პროგრამის სტუდენტები ჩართულობის მაღალი მაჩვენებლით გამოირჩევიან. სტუდენტს შესაძლებლობა აქვს მონაწილეობა მიიღოს საუნივერსიტეტო, რეგიონალურ და საერთაშორისო სამეცნიერო კონფერენციებში. სადოქტორო პროგრამაში ჩართული პროფესორ-მასწავლებელთა ჯგუფი ხელმძღვანელობას უწევს სტუდენტების სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობას, მათ ჩართულობას სამეცნიერო-პრაქტიკული სახის პროექტების განხორციელებაში, მათ ჩართვას როგორც ფაკულტეტის, ისე საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევითი ერთეულების მიმდინარე კვლევებში, საერთაშორისო და ქვეყნის მასშტაბით. ხელს უწყობს პუბლიკაციების მომზადებაში მაღალ რეიტინგულ ჟურნალებში გამოსაცემად. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია კვლევის ინტერნაციონალიზაციის საკითხის გაძლიერებისა და სადისერტაიო ნაშრომის დაცვის წინაპირობად საერთაშორისო სამეცნიერო ბაზებში ინდექსირებულ იმპაქტ-ფაქტორის მქონე სამეცნიერო ჟურნალებში პუბლიკაციების გამოქვეყნების განისაზღვრის შესახებ. ამასთან დაკავშირებით ცვლილება შევიდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებაში (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #01-05-04/56, 27.05.2022) და მე-10 მუხლის 10.11 ქვეპუნქტი ასე ჩამოყალიბდა: „დოქტორანტი ვალდებულია ნაშრომის სადისერტაციო საბჭოში წარდგენამდე, წარმოადგინოს სადისერტაციო თემასთან დაკავშირებული კვლევის ძირითადი შედეგების ამსახველი ინფორმაცია (სამეცნიერო კონფერენციების, სემინარების, გამოგონებების, პატენტების დამადასტურებელი ოფიციალური დოკუმენტები (მათი არსებობის შემთხვევაში) და მათი სია დამოწმებული შესაბამისი აკადემიური დეპარტამენტის ხელმძღვანელის მიერ, მათ შორის დოქტორანტის სწავლის პერიოდში, დადგენილი წესის შესაბამისად გამოქვეყნებული არანაკლებ სამი სამეცნიერო სტატია, რომელთაგანაც ერთი უნდა იყოს თანაავტორების გარეშე. დოქტორანტის მიერ სწავლის პერიოდში გამოქვეყნებული არანაკლებ სამი სამეცნიერო სტატიიდან, სულ მცირე ერთი უნდა იყოს გამოქვეყნებული სამეცნიერო გამოცემაში, რომელიც ინდექსირებულია Web of Science, Scopus, Google Scholar ბაზაში.

ცვლილება შევიდა საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის დოქტორანტურის დებულებაში (საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს დადგენილება #01-05-04/56, 27.05.2022) და მე-11 მუხლის 11.3 ქვეპუნქტი ასე ჩამოყალიბდა: სადისერტაციო საბჭოში დოქტორანტის მიერ საბუთების წარდგენის შემდეგ, ფაკულტეტის სადისერტაციო საბჭოს თავმჯდომარე განცხადებით მიმართავს ფაკულტეტის - Strikerplagiarism.com - ის ოპერატორს სადისერტაციო ნაშრომში პლაგიატის არსებობაზე შესამოწმებლად. პლაგიატის არარსებობის (დადებითი შეფასების) შემთხვევაში სადისერტაციო ნაშრომი ფასდება დადებითად, თუ:

ა) მსავსების კოეფიციენტი 1 არ აღემატება 25%-ს (5 სიტყვიანი წინადადება);

ბ) მსავსების კოეფიციენტი 2 არ აღემატება 5%-ს (25 სიტყვიანი წინადადება);

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობა“;
2. სტუ-ს აკადემიური საბჭოს დადგენილება #01-05-04/56 „სტუ-ს დოქტორანტურის დებულებაში ცვლილებების შეტანის შესახებ“;

3. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის „მშენებლობა“ შესახებ;
4. ამონაწერი ფაკულტეტის საბჭოს სხდომის ოქმიდან #4
5. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგები;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.5 სწავლება-სწავლის მეთოდები

პროგრამა ხორციელდება სტუდენტზე ორიენტირებული სწავლება-სწავლის მეთოდების გამოყენებით. სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება სწავლების საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას.

სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი

დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კურსების სწავლება-სწავლის მეთოდები შეესაბამება აკადემიური უმაღლესი განათლების მერვე საფეხურს, კურსის შინაარსს, სწავლის შედეგებს და უზრუნველყოფს მათ მიღწევას;

სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს. საჭიროების შემთხვევაში, გამოიყენება სტუდენტის ინტერესებისა და აკადემიური მომზადების დონის შესაბამისად შედგენილი ინდივიდუალური პროგრამა;

საგანმანათლებლო პროგრამის სასწავლო კომპონენტების განსახორციელებლად გამოიყენება: ლექცია, სემინარი, დამოუკიდებელი მუშაობა, კონსულტაცია, სადისერტაციო ნაშრომზე მუშაობა. სასწავლო კურსის პროგრამებში (სილაბუსებში) მოცემულია სწავლება -სწავლის მეთოდების შესაბამისი აქტივობები, მაგალითად, დისკუსია/დებატები, თანამშრომლობითი(cooperative) სწავლება; ჯგუფური (collaborative) მუშაობა, დემონსტრირება, ახსნა-განმარტება, ვერბალური ანუ ზეპირსიტყვიერება, დედუქცია,

ინდუქცია, ანალიზი, სინთეზი, შემთხვევების შესწავლა (Case study), პრობლემაზე დაფუძნებული სწავლება (PBL), წერითი მუშაობა, ქმედებაზე ორიენტირებული, და სხვა. თითოეულ სასწავლო კურსში სწავლება-სწავლის მეთოდები არის მოქნილი და ითვალისწინებს სასწავლო კურსის და სტუდენტების ინდივიდუალურ საჭიროებებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობა“; 2. სასწავლო კურსების სილაბუსები; 3. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის „მშენებლობა“ შესახებ; 4. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

2.6. სტუდენტების შეფასება
სტუდენტების შეფასება ხორციელდება დადგენილი პროცედურების მიხედვით, გამჭვირვალეა და კანონმდებლობასთან შესაბამისი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სტუ-ში მოქმედებს კანონმდებლობის შესაბამისი, სწავლის შედეგების ადეკვატური, გამჭვირვალე და სამართლიანი შეფასების სისტემა, რომელიც ხელს უწყობს სტუდენტების აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებას და სრულად შეესაბამება განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2007 წლის 5 იანვრის N3 ბრძანებას. პროგრამის თითოეული სასწავლო კურსის შეფასების კომპონენტები და მეთოდები ითვალისწინებს კურსის სპეციფიკას და შეესაბამება ამ კურსის სწავლის შედეგებს. შემფასებლისთვის კარგადაა ცნობილი შეფასების თანამედროვე მეთოდები და ამ სფეროში თავისი უნარების განვითარებისათვის იღებს მხარდაჭერას; შეფასების ფორმები,

კომპონენტები და მეთოდები არის გამჭვირვალე, გამოქვეყნებულია და წინასწარ ცნობილია სტუდენტისათვის; სტუდენტები იღებენ უკუკავშირს სწავლის შედეგებზე; სადოქტორო საგანმანათლებლო პროგრამა ითვალისწინებს დოქტორანტის პროგრესის პერიოდულ შეფასებას მისი სამეცნიერო ხელმძღვანელის მიერ; სადისერტაციო ნაშრომების დაცვა ხდება უსდ-ში არსებული სადისერტაციო ნაშრომის შეფასებისა და დაცვის პროცედურების მიხედვით კომისიური წესით; უზრუნველყოფილია სტუდენტთა შეფასების შედეგების გასაჩივრება; სტუ-ში სტუდენტს აქვს სწავლის შედეგების შეფასების გასაჩივრების უფლება. სტუდენტი, რომელიც არ ეთანხმება სწავლის შედეგების შეფასებას, უფლებამოსილია, შეფასების შედეგის გაცნობიდან ხუთი სამუშაო დღის ვადაში, დასაბუთებული საჩივრით მიმართოს დეკანს და მოითხოვოს შედეგების გადასინჯვა. საჩივარს განიხილავს და შესაბამის დასკვნას შეიმუშავებს დეკანის ბრძანებით შექმნილი დარგობრივი კომისია. დასკვნის საფუძველზე დეკანი იღებს გადაწყვეტილებას ან უზრუნველოფს საკითხის ფაკულტეტის საბჭოზე განხილვას. ხდება შეფასების შედეგების ანალიზი და მისი გამოყენება სწავლების პროცესის გასაუმჯობესებლად. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი პერიოდულად მონაწილეობს სწავლებისა და შეფასების თანამედროვე მეთოდების გამოყენების შესახებ დაგეგმილ ტრენინგებში და იღებს შესაბამის მხარდაჭერას. თითოეულ მათგანს წარმოდგენილი აქვთ შესაბამისი სერთიფიკატი და თან ერთვის მათ პირად ინფორმაციას. ფაკულტეტის საგანმანათლებლო პროგრამების შეფასების კომისია ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან ერთად ახორციელებს სასწავლო კურსების ანალიზს, არსებული ინფორმაციის საფუძველზე შეიმუშავებენ სათანადო რეკომენდაციებს.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობა“; 2. სასწავლო კურსების სილაბუსები; 3. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის „მშენებლობა“ შესახებ; 4. უნივერსიტეტის ვებ გვერდი. 5. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)

შეფასება
o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			

3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა

პროგრამა უზრუნველყოფს სტუდენტზე ორიენტირებული გარემოს შექმნას, შესაბამისი სერვისების შეთავაზებით; ხელს უწყობს სტუდენტების მაქსიმალურ ინფორმირებას, ახორციელებს მრავალფეროვან ღონისძიებებს და ხელს უწყობს სტუდენტების ჩართულობას ადგილობრივ და/ან საერთაშორისო პროექტებში.

3.1 სტუდენტთა საკონსულტაციო მომსახურება
სტუდენტი იღებს სასწავლო პროცესის დაგეგმვაზე, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესებაზე, დასაქმებაზე სათანადო კონსულტაციას და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერას.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში დოქტორანტების ინფორმირებულობას სასწავლო პროცესის დაგეგმვისა და აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების საკითხებზე ძირითადად უზრუნველყოფს ფაკულტეტის ადმინისტრაცია სხვადასხვა ხერხის გამოყენებით. მაგალითად, აუცილებელი ინფორმაცია (სასწავლო გეგმა, სასწავლო ბარათი, მიმდინარე შეფასებები, პედაგოგების ცხრილი და სხვ. მნიშვნელოვანი ინფორმაცია) მათთვის ხელმისაწვდომია სასწავლო პროცესის მართვის ელექტრონულ სისტემაში მათ პირად გვერდზე (იგივე, სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის სისტემა, იხ. ბმული: https://leqtori.gtu.ge/. უნივერსიტეტში ასევე ფუნქციონირებს GTU-tables ანუ, ელექტრონული ჟურნალის მობილური აპლიკაცია. საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში სტუდენტები პოტენციური დამსაქმებლებისა თუ ვაკანსიების შესახებ ინფორმაციას იღებენ შესაბამისი ფაკულტეტის ვებ-გვერდის სიახლეებიდან ან/და უშუალოდ პროგრამის ხელმძღვანელისგან, პროგრამის განმახორციელებლებისგან. პროგრამის სტუდენტებთან და კურსდამთავრებულებთან

გასაუბრებით დასტურდება, რომ ისინი არიან პროფილით დასაქმებულები.

ყველა სასწავლო კურსის სილაბუსში ფიქსირდება ლექტორის საკონტაქტო ინფორმაცია: საკონტაქტო ტელეფონი, ელექტრონული ფოსტის მისამართი. აკადემიურმა და მოწვეულმა პერსონალმა ექსპერტებთან საუბრის დროს დაადასტურეს, რომ მათი შრომითი ხელშეკრულებები ითვალისწინებენ სტუდენტთა კონსულტაციების საათებსაც. ზოგადად, ყოველი სემესტრის დასაწყისში დგინდება ოფიციალური საკონსულტაციო განრიგი, რომელიც შემდგომ ქვეყნდება [მატერიალურად] ფაკულტეტზე თვალსაჩინო ადგილზე განთავსებულ საინფორმაციო დაფებზე. ინტერვიუს შედეგებზე დაყრდნობით სტუდენტები ადასტურებენ, რომ ისინი ადმინისტრაციული და აკადემიური პერსონალისგან იღებენ მათთვის აუცილებელ კონსულტაციებს და საჭირო ინფორმაციას. ამასთან, მათ შორის კომუნიკაცია შეიძლება განხორციელდეს ელექტრონული ფოსტის ან სოციალური ქსელის დახმარებითაც კი.

საგანმანათლებლო პროგრამის, მასზე თანდართული მონიტორინგის დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ დოქტორანტი იღებს სათანადო კონსულტაციას სასწავლო პროცესის დაგეგმვის, აკადემიური მიღწევების გაუმჯობესების, დასაქმების და კარიერულ განვითარებასთან დაკავშირებით მხარდაჭერის შესახებ. უნივერსიტეტის პერსონალი, მათ შორის პროგრამაში ჩართული პირები უზრუნველყოფენ სათანადო ინფორმაციის მიწოდებას დოქტორანტისათვის უსდ-ში არსებული კონსულტაციების შესახებ;

სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტზე მოქმედებს საკონსულტაციო განრიგი, რომელშიც დეპარტამენტების მიხედვით გაწერილია დოქტორანტებისთვის კონსულტაციის საათები კონკრეტული პედაგოგის და აუდიტორიის მითითებით. დოქტორანტებს შეუძლიათ კონსულტირება სადოქტორო თემატიკასთან, სადისერტაციო ნაშრომების გაფორმებასთან და სხვა მიმდინარე საკითხებთან დაკავშირებით. ზემოთ თქმული დოქტორანტს აძლევს სასწავლო პროცესის ამაღლებისა და აკადემიური მოსწრების გაუმჯობესების საშუალებას, ხელს უწყობს სხვადასხვა უნარების განვითარებაში და შრომის ბაზრისთვის მოთხოვნად სპეციალისტად ჩამოყალიბებაში.

სტუდენტები ინფორმაციას ადგილობრივი და საერთაშორისო კონფერენციების, გაცვლითი პროგრამების (იხ. ბმულები: https://gtu.ge/erasmus+.php და https://gtu.ge/Suss/, https://gtu.ge/Science/Conference/) და სხვ. შესახებ იღებენ უნივერსიტეტის ვებ-გვერდიდან და ადმინისტრაციისგან. ზოგადად, საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში ყოველწლიურად ტარდება სამეცნიერო-პრაქტიკული კონფერენციები, დარგობრივი სემინარები, რომლებშიც სტუდენტებს აქვთ საშუალება მიიღონ მონაწილეობა. სტუდენტებთან და კურდამთავრებულებთან საუბრის დროს მათ დაადასტურეს ზემოთ აღნიშნულ კონფერენციებში მონაწილების მიღებაც [შესაბამისი საკვლევი თემის მითითებით]. ამასთან, დოქტორანტურის დებულების თანახად, დოქტორანტი ვალდებულია გამოაქვეყნოს მინიმუმ სამ სტატია.

ინტერვიუს შედეგების საფუძველზე დასტურდება ისიც, რომ უნივერსიტეტში პერიოდულად ტარდება სტუდენტების გამოკითხვა, რომელიც ორიენტირებულია საგანმანათლებლო პროგრამების სტრუქტურის, სასწავლო კურსების შინაარსის, მათი სათანადო ადამიანური და მატერიალური რესურსებით უზრუნველყოფის დადგენილ სტანდარტებთან შესაბამისობის შეფასების შესახებ. უმაღლეს საგანამანათლებლო

დაწესებულებას წარმოდგენილი აქვს შესაბამისი გამოკითხვის შედეგებიც. თუმცა, სტუდენტებს ნაკლებად ჰქონდათ ინფორმაცია ამ შედეგების გამოყენების შესახებ.
მტკიცებულებები/ინდიკატორები 1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობა“; 2. სასწავლო კურსების სილაბუსები; 3. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის „მშენებლობა“ შესახებ; 4. საკონსულტაციო განრიგი დანართი 8; 5. უნივერსიტეტის ვებ გვერდი 6. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუს შედეგები;
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში) ○
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

3.2 მაგისტრანტთა და დოქტორანტთა ხელმძღვანელობა
მაგისტრანტებსა და დოქტორანტებს ჰყავთ კვალიფიციური ხელმძღვანელი.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი დოქტორანტებს ხელმძღვანელობას და კონსულტაციებს უწევს მაღალკვალიფიციური აკადემიური პერსონალი, რომელთაც აქვთ დიდი გამოცდილება, როგორც სამეცნიერო კვლევით სამუშაოებში ჩართულობით, ასევე საერთაშორისო პროექტებში მონაწილეობის მხრივ. დოქტორანტების ხელმძღვანელები არიან კვალიფიციური სპეციალისტები, რაც დასტურდება პერსონალის CV-ებით, მათ მიერ გამოქვეყნებული ნაშრომებით საერთაშორისოდ აღიარებულ ჟურნალებში, სხვადასხვა ადგილობრივ და უცხოურ კონფერენციაში მონაწილეობით. უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების თქმით, როგორც წესი, დოქტორანტს ენიშნება ერთი ინდივიდუალური ხელმძღვანელი, მაგრამ, საჭიროების შემთხვევაში, ასევე, შესაძლებელია თანახელმძღვანელის დანიშვნაც, რომელსაც საკვლევი თემის შესაბამისი

სამეცნიერო-კვლევითი გამოცდილება ექნება.

დოქტორანტის ხელმძღვანელის უფლებები, მოვალეობები და ფუნქციები განსაზღვრულია საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს მიერ დამტკიცებულ დოქტორანტურის დებულებაში. კერძოდ, „სამეცნიერო ხელმძღვანელი/თანახელმძღვანელები დამტკიცებიდან ორი კვირის განმავლობაში დეკანატში წარადგენენ დოქტორანტის პერსონალურ სამუშაო გეგმას“. ასევე - „დოქტორანტი სწავლების პირველ წელს ხელმძღვანელთან ერთად ადგენს სადისერტაციო კვლევის პროექტის - დეტალურ გეგმას (დასამუშავებელი საკითხების ჩამონათვალი: შესავალი, სამეცნიერო სიახლე, აქტუალობა, მიზნები და თეორიული/პრაქტიკული მნიშვნელობა). ხოლო დოქტორანტის მიერ სამეცნიერო-კვლევითი კომპონენტის შესრულება (პროსპექტუსი 1,2; კოლოკვიუმი1,2,3, სადისერტაციო ნაშრომის მომზადება და დაცვა) სასწავლო კურსების ანალოგიურად, როგორც წესი, კომპონენტის დასრულების შემდეგ დასტურდება სადისერტაციო თემის ხელმძღვანელის მიერ“. რაც უზრუნველყოფს სადოქტორო ნაშრომების ეფექტურ და ხარისხიან ხელმძღვანელობას, ნაშრომებისა და პროექტების მაღალ ხარისხს.

ხელმძღვანელს რეგულარული კონსულტაციები აქვს დოქტორანტურის სტუდენტებთან. კონსულტაციების სიხშირე შეესაბამება პროგრამისა და საკვლევი თემის სპეციფიკას. ხელმძღვანელი კონსულტირებას უწევს დოქტორანტს კვლევით პროცესში შემდეგ საკითხებთან დაკავშირებით: კვლევის დიზაინი და პროექტის მენეჯმენტი, თეზისის/სამეცნიერო-კვლევითი ნაშრომის/დისერტაციის წერის პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ქსელში ინტეგრირების პროცესი, ადგილობრივ და საერთაშორისო სამეცნიერო ღონისძიებებში მონაწილეობისა და შედეგების წარდგენის პროცესი; სამეცნიერო სტატიების რეფერირებად ჟურნალში გამოქვეყნება. რაც აუცილებელი პირობაა სადისერტაციო ნაშრომის წარდგენის წინ და რეგულირდება სტუ-ს დოქტორანტურის დებულებით.

სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, თითოეული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკას და მიმართულებას.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის სამშენებლო ფაკულტეტმა გაითვალისწინა სააკრედიტაციო საბჭოს რეკომენდაცია გაიზარდოს ხელმძღვანელების მხრიდან სადოქტორო ნაშრომების გაფორმებისა და შინაარსობრივი ნაწილის შესაბამისობის კონტროლი უნივერსიტეტში მოქმედ რეგულაციებთან.

ხელმძღვანელი აქტიურად უჭერს მხარს დოქტორანტებს სამუშაოს დაგეგმვის დამოუკიდებელ გზის ძიების და უზრუნველყოფს აუცილებელი თავისუფლებით. ხელმძღვანელი ეხმარება დოქტორანტებს თავისი ცოდნითა და გამოცდილებით სამეცნიერო პროექტის მართვაში; ასევე ხელს უწყობს დოქტორანტს სამეცნიერო ნაშრომების, სადოქტორო ნაშრომის მომზადებაში გაითვალისწინოს სამეცნიერო ეთიკის ნორმები და პლაგიატიზმის საწინააღმდეგო მოთხოვნები, საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტს სამეცნიერო კონფერენციებში დოქტორანტების ჩართვის მდიდარი გამოცდილება აქვს და ამ პროცესში აქტიურად მონაწილეობენ ხელმძღვანელები.

ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუდან და სტუ-ს ვებ გვერდიდან

ირკვევა, რომ დოქტორანტები მონაწილეობენ საფაკულტეტო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებსა და კოლოკვიუმებში. გარდა ამისა, საგრანტო ხელშეკრულებიდან #PHDF-21-3812 01.11.2021 ირკვევა, რომ დოქტორანტმა ვასილ ბერუაშვილმა (პირადი #0102707714) მიიღო შოთა რუსთაველის საქართველოს ეროვნული სამეცნიერო ფონდის გრანტინ რომლის ფარგლებში დოქტორანტს საშუალება ექნება გამოაქვეყნოს ნაშრომები სამეცნიერო ჟურნალებში, მონაწილეობა მიიღოს საერთაშორისო კონფერენციებშია. აქედან გამომდინარე, არსებობს ყველანაირი წინაპირობა, რომ სადოქტორო პროგრამის სტუდენტები მათი სამეცნიერო ხელმძღვანელებთან მჭიდრო თანამშრომლობით აქტიურად იყვნენ ჩართული სამეცნიერო მუშაობაში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობა“;
2. სასწავლო კურსების სილაბუსები;
3. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის „მშენებლობა“ შესახებ;
4. სტუ-ს დოქტორანტურის დებულება;
5. პროგრამის ხელმძღვანელის ფუნქციები;
6. საგრანტო ხელშეკრულებიდან #PHDF-21-3812 01.11.2021;
7. უნივერსიტეტის ვებ-გვერდი;
8. ვიზიტის ფარგლებში განხორციელებული ინტერვიუ;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში):

- პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის

მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში)

- მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
-

შეფასება

o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა

- ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან
- ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია	ნაწილობრივ შესაბამისობაშია	არ არის შესაბამისობაში

		მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან	მოთხოვნებთან
სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			

4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა

ადამიანური, მატერიალური, საინფორმაციო და ფინანსური რესურსები უზრუნველყოფს პროგრამის მდგრად, სტაბილურ, ეფექტიან და ეფექტურ ფუნქციონირებას და განსაზღვრული მიზნების მიღწევას.

4.1 ადამიანური რესურსი
➢ პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე პირები, რომლებსაც აქვთ პროგრამით გათვალისწინებული სწავლის შედეგების გამომუშავებისათვის აუცილებელი კომპეტენცია; ➢ პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური/სამეცნიერო და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო-კვლევითი/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას. აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის ბალანსი უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას; ➢ პროგრამის ხელმძღვანელს გააჩნია პროგრამის შემუშავებისათვის აუცილებელი ცოდნა და გამოცდილება და უშუალოდაა ჩართული პროგრამის განხორციელებაში; ➢ პროგრამის სტუდენტები, უსდ-ის მიერ უზრუნველყოფილები არიან სათანადო რაოდენობისა და შესაბამისი კომპეტენციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალით.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი საგანმანათლებლო პროგრამის, მასზე თანდართული მონიტორინგის დოკუმენტაციისა და აკრედიტაციის ვიზიტის შედეგად მიღებულ ინფორმაციაზე დაყრდნობით ირკვევა, რომ საგანმანათლებლო პროგრამას ახორციელებენ შესაბამისი კვალიფიკაციის მქონე აკადემიური და მოწვეული პერსონალი. აკადემიური პერსონალი შერჩეულია ღია კონკურსის წესით, „უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის წესდების მოთხოვნების სრული დაცვით. აკადემიური პერსონალის კვალიფიკაცია შესაბამისობაშია კანონმდებლობისა და უსდ-ის შიდა რეგულაციებით დადგენილ სტანდარტებთან. პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი, სრულად შეესაბამება აკრედიტაციის მიზნით წარმოდგენილი საგანმანათლებლო პროგრამის მიმართ უნივერსიტეტის მიერ წაყენებულ მოთხოვნებს. ბოლო 10 წლის განმავლობაში შესრულებული სამეცნიერო ნაშრომები, სახელმძღვანელოები, მონოგრაფიები, სამეცნიერო სტატიები, ასევე საერთაშორისო და ადგილობრივ სამეცნიერო კონფერენციებში და სემინარებში მონაწილეობა ადასტურებს აკადემიური და მოწვეული პერსონალის შესაბამის კომპეტენციას. მოწვეული პერსონალის ან მასწავლებლის კვალიფიკაცია დასტურდება პროგრამით გათვალისწინებული სწავლის

შედეგების გამომუშავებისთვის აუცილებელი ცოდნის, გამოცდილებისა და კომპეტენციის ქონით;

პროგრამის განმახორციელებელი აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა და დატვირთვა უზრუნველყოფს საგანმანათლებლო პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის წარმართვას და ასევე, სამეცნიერო - კვლევითი საქმიანობისა და სხვა მათზე დაკისრებული ფუნქციების ჯეროვან შესრულებას.

პროგრამას ახორციელებს 44 აკადემიური და 3 მოწვეული პერსონალი, რაც უზრუნველყოფს პროგრამით განსაზღვრული სასწავლო პროცესის სათანადო დონეზე წარმართვას.

აკადემიური და მოწვეული პერსონალის რაოდენობა ადექვატურია სტუდენტების რაოდენობასთან. გონივრული შეფასებითა და მრავალწლიანი დაკვირვების შედეგით, თანაფარდობა აკადემიურ და მოწვეულ პერსონალს შორის უზრუნველყოფს პროგრამის მდგრადობას.

პროგრამის განმახორციელებელი პერსონალი ჩართულია ასევე საკონსულტაციო და პროგრამის განვითარების პროცესში. პროგრამის ხელმძღვანელს აქვს პროგრამის შემუშავებისა და განხორციელებისათვის აუცილებელი პროფესიული ცოდნა, გამოცდილება, უნარები და კომპეტენცია. რაც დასტურდება მონიტორინგის მასალებში წარმოდგენილი პროგრამის განხორციელებაში მონაწილე პერსონალის პირადი საქმეებით და მათი სამეცნიერო მუშაობის ამსახველი დოკუმენტაციით.

სფეროს სპეციფიკიდან და განვითარებიდან გამომდინარე, თითოეული დოქტორანტის სამეცნიერო ხელმძღვანელი არის უახლესი ცოდნით აღჭურვილი, აქტიური მონაწილეობა აქვს მიღებული სამეცნიერო კვლევებში ან/და გამოქვეყნებული აქვს სამეცნიერო ნაშრომი რომელიც შეესაბამება დოქტორანტის სადისერტაციო ნაშრომის ზოგად თემატიკას/მიმართულებას.

საგანმანათლებლო პროგრამა ხორციელდება უნივერსიტეტის ადმინისტრაციისა და მართვის სხვა სამსახურების სრული მხარდაჭერით. პროგრამას უშუალოდ ემსახურება სათანადო კვალიფიკაციის მქონე ადმინისტრაციული და დამხმარე პერსონალი, რომლებიც მუშაობენ სტუ-ს და სამშენებლო ფაკულტეტის შესაბამის სამსახურებსა და სტრუქტურულ ერთეულებში.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობა“;
2. სასწავლო კურსების სილაბუსები;
3. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის „მშენებლობა“ შესახებ;
4. სტუ-ს დოქტორანტურის დებულება;
5. სადოქტორო პროგრამის განმახორციელებელი პერსონალის პირადი საქმეები;

რეკომენდაციები:

წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები

რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის

საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			

5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები

სწავლების ხარისხის განვითარების მიზნით პროგრამა იყენებს შიდა და გარე ხარისხის სამსახურებს, პერიოდულ მონიტორინგსა და შეფასებას უწევს პროგრამას. აგროვებს და აანალიზებს რელევანტურ ინფორმაციას შესაბამისი გადაწყვეტილების მისაღებად და განსავითარებლად.

5.1 შიდა ხარისხის შეფასება
პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან/პერსონალთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად.
სტანდარტის მოთხოვნებთან შესაბამისობის აღწერითი მიმოხილვა და ანალიზი სადოქტორო პროგრამაში ჩართული პერსონალი თანამშრომლობს შიდა ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურთან პროგრამის ხარისხის შეფასების პროცესის დაგეგმვის, შეფასების ინსტრუმენტების შემუშავებისა და შეფასების განხორციელების პროცესში და იყენებს ხარისხის შეფასების შედეგებს პროგრამის გასაუმჯობესებლად; უნივერსიტეტმა გაითვალისწინა აკრედიტაციის საბჭოს რეკომენდაცია. რეკომენდირებულია პროგრამის ფარგლებში შიდა ხარისხის მექანიზმების ამოქმედების შესახებ.

საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი იყენებს ხარისხის კონტროლის შიდა მექანიზმებს (დანართი 11 - შიდა და გარე ხარისხის შეფასება, დანართი 1), რომელთა მიზანია სწავლების ხარისხის უწყვეტი გაუმჯობესება, მისი მონიტორინგი, აკადემიური და მატერიალური რესურსების ეფექტური გამოყენება, რაც გულისხმობს აკადემიური პროცესის, საგანმანათლებლო პროგრამების და ყველა შემადგენელი კომპონენტის პერიოდულ მონიტორინგს. სამშენებლო ფაკულტეტის პროგრამაში ჩართული პერსონალი პროგრამასთან დაკავშირებული გადაწყვეტილებების მიღებისას ითვალისწინებს ხარისხის შეფასების შედეგებს, რაც ნათლადაა აღწერილი მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილ დოკუმენტაციაში, კერძოდ „დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობა“ სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში“ და „სააკრედიტაციო პერიოდში პროგრამების შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზი“. მასში აღნიშნულია, რომ 2021 წლის ივნისის შემდეგ დღემდე შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა სწავლის შედეგების შეფასების და სამიზნე ნიშნულების დადარება. მსგავსი შეფასება განხორციელდება პერიოდულად, ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ და საჭიროების შემთხვევაში მოხდება სათანადო ცვლილებების ასახვა პროგრამის ხარისხის განვითარების მიზნით.

მონიტორინგის ფარგლებში მოწოდებული დოკუმენტიდან „სააკრედიტაციო პერიოდში პროგრამების შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზი“ - დან ირკვევა, რომ შიდა ხარისხის სისტემური შეფასებების მეშვეობით, ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ, ხდება პროგრამების სწავლა-სწავლების, რესურსებისა და კვლევითი საქმიანობის შეფასება, რაც იძლევა პროგრამაში პრობლემის სიღრმისეული შესწავლისა და მასზე ზემოქმდების/ჩარევის განხორციელების შესაძლებლობას. რისთვისაც სამშენებლო ფაკულტეტზე განსაზღვრული პერიოდულობით ტარდება შემდეგი დასახელების სისტემური კვლევები/შეფასებები: 1. პროგრამაზე ჩარიცხვის შეფასება; 2. სტუდენტების პროგრამით კმაყოფილების კვლევა; 3. აკადემიური მოსწრების ანალიზი; 4. პროგრამის კომპონენტის შეფასება; 5. მობილობის კვლევა; 6. სტუდენტების დასაქმების კვლევა; 7. კურსდამთავრებულთა კმაყოფილების/დასაქმების კვლევა. 8. დამსაქმებლების შეფასება; 9. სტუდენტების სერვისებით კმაყოფილების კვლევა; 10. აკადემიური პერსონალის კმაყოფილების კვლევა 11. აკადემიური პერსონალის საქმიანობის შეფასება; 12. კვლევითი საქმიანობის შეფასება.

2021 წლის ივნისის შემდეგ დღემდე შიდა ხარისხის უზრუნველყოფის მიზნით განხორციელდა სწავლის შედეგების შეფასება და სამიზნე ნიშნულებთან დადარება (იხ. დანართი 1). აღნიშნული ინფორმაციის ანალიზის საფუძველზე, პროგრამაში ცვილებების განხორციელების საჭიროება არ გამოიკვეთა. მსგავსი შეფასება განხორციელდება პერიოდულად, ყოველი სასწავლო წლის დასრულების შემდეგ და საჭიროების შემთხვევაში მოხდება სათანადო ცვლილებების ასახვა პროგრამის ხარისხის განვითარების მიზნით.

ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის საქმიანობა კოორდინირებულია უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის მიერ. შეფასება ძირითადად ხორციელდება სტუდენტთა, აკადემიური პერსონალის, პედაგოგების, დამსაქმებელთა გამოკითხვის გზით, რისთვისაც შემუშავებულია შესაბამისი კითხვარები. პროგრამების შემუშავება და დამტკიცება ხორციელდება სტუ-ს აკადემიური საბჭოს მიერ „საქართველოს ტექნიკურ უნივერსიტეტში საგანმანათლებლო პროგრამის დაგეგმვის, შემუშავების,

შეფასებისა და განვითარების წესის“ შესაბამისად.

სტუ-ში დანერგილია სწავლის შედეგების შეფასების სისტემა, რომელიც დოქტორანტის ინდივიდუალურ მიღწევებს ასახავს. შეფასების პროცედურების ვადები, შეფასების თითოეული ფორმისა და კომპონენტის ხვედრითი წილი საბოლოო შეფასებაში და საჭიროების შემთხვევაში, კომპონენტშიც მინიმალური კომპეტენციის ზღვარი და სხვა შესაბამისი კრიტერიუმების ჩვენებით მოცემულია საგანმანათლებლო პროგრამაში, აგრეთვე განთავსებულია უნივერსიტეტის ვებ-გვერდზე და ხელმისაწვდომია როგორც შემფასებლებისთვის ასევე სტუდენტებისთვის.

აღსანიშნავია, რომ სტუ-ში მოქმედებს სტუდენტთა აკადემიური მოსწრების მონიტორინგის ელექტრონული სისტემა, რომელიც სტუდენტს საშუალებას აძლევს მუდმივად ადევნოს თვალი საკუთარი შეფასებების შედეგებს. პრეტენზიის არსებობის შემთხვევაში სტუდენტმა შეიძლება მიმართოს ფაკულტეტის დეკანს ან ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს, აგრეთვე, უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურს ან ხელმძღვანელობას. გარდა ამისა, სისტემა აღნიშნული ინფორმაციის სტატისტიკური დამუშავებისა და ანალიზის საშუალებას იძლევა სასწავლო პროცესის გაუმჯობესების მიზნით.

სტუდენტის მიღება, პროგრესია, აღიარება და სერტიფიცირება არსებულ კანონმდებლობასთან სრულ შესაბამისობაში მყოფი პროცედურების მეშვეობით მიმდინარეობს, რისთვისაც სტუ-ში არსებობს შესაბამისი მექანიზმები და შემუშავებულია სათანადო სამართლებრივი აქტები. როგორც სასწავლო პროგრამების გაუმჯობესებაში, ისე ხარისხის შიდა შეფასებაში მნიშვნელოვან როლს სამშენებლო ფაკულტეტზე ჩამოყალიბებული „მრჩეველთა საბჭო“ ასრულებს. საბჭოს წევრები აქტიურად მონაწილეობენ საგანმანათლებლო პროგრამების განხილვის პროცესში, ჩართულნი არიან მათი სწავლების მიმდინარეობის და შედეგების შეფასებაში. ისინი იღებენ მონაწილეობას გადაწყვეტილებების მიღებაში პროგრამების საგანმანათლებლო მიზნების დადგენასა და მათ მოდიფიცირებასთან მიმართებაში, აგრეთვე ფაკულტეტის სტრატეგიული გეგმის შემუშავებაში. შემოწმებების შედეგებს ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური სათანადო ანალიზის ჩატარებისთვის აწვდის პროგრამის განხორციელებაზე პასუხისმგებელ სასწავლო დეპარტამენტს. ამ ინფორმაციის საკუთარ შეფასებებთან შეჯერების საფუძველზე, რომლებიც სტუდენტთა აკადემიურ მოსწრებას და პროგრამაში მონაწილე პროფესორმასწავლებელთა მოსაზრებებს ასახავენ, დეპარტამენტი შეიმუშავებს შემჩნეულ ხარვეზთა გამოსასწორებელ ღონისძიებათა გეგმას, რომელსაც აცნობს დეკანს. გეგმის შესრულებას დეპარტამენტის მიერ, აკონტროლებს ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური და დეკანატი.

უნივერსიტეტმა გაითვალისწინა რეკომენდაცია დაცული დისერტაციების მონიტორინგის საფუძველზე სადოქტორო ნაშრომების ხარისხის ამაღლების კრიტერიუმების და პროგრამის სწავლის შედგების მიღწევის პერიოდული შეფასების მექანიზმების შემუშავების შესახებ.

მონიტორინგის ფარგლებში წარმოდგენილი დოკუმენტიდან „სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი“ განსაზღვრავს სტუ-ს სამშენებლო ფაკულტეტის აკადემიური უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამების ხარისხის შეფასებისა და განვითარების უზრუნველყოფის პროცედურებს და შესაბამის ინსტრუმენტებს. საგანმანათლებლო პროგრამის შეფასებისა და განვითარების მიზნით, რექტორის ბრძანებისა და

უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელის წარდგინების საფუძველზე, ფაკულტეტზე შეიქმნა კომისია კომისია. კომისიის თავმჯდომარეა ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ხელმძღვანელი. კომისია ამოწმებს საგანმანათლებლო პროგრამითა და სასწავლო კურსების პროგრამებით გათვალისწინებული ლაბორატორიული აღჭურვილობის, სათანადო ლიტერატურის, პროგრამის განმახორციელებელი ადამიანური რესურსის, აუდიტორიებისა და პროგრამის სხვა პარამეტრების შესაბამისობას ავტორიზაციისა და აკრედიტაციის მოთხოვნებთან, აგრეთვე პროგრამის სასწავლო და კვლევითი კომპონენტების შესრულების პროცესის მიმდინარეობას. კომისია უფლებამოსილია თავისი ფუნქციების განხორციელებისათვის აუცილებელი ინფორმაცია და დოკუმენტები მოითხოვოს ფაკულტეტის შემადგენლობაში შემავალი აკადემიური დეპარტამენტებისა და პროგრამის ხელმძღვანელებისაგან. პროგრამის განხორციელების მონიტორინგის პროცესში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა პროგრამის დასახული მიზნებისა და მოსალოდნელი სწავლის შედეგების მიღწევას.

ამავე დოკუმენტითაა განსაზღვრული ფაკულტეტის ადმინისტრაციული ერთეულების როლი საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის უზრუნველყოფაში. ამ ადმინისტრაციულ ერთულების ჩამონათვალშია: პროგრამის ხელმძღვანელი, ფაკულტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახური, ფაკულტეტის მენეჯერი, მზრუნველთა საბჭო, აკადემიური დეპარტამენტები, საგანმანათლებლო პროგრამების კურატორი, სადოქტორო პროგრამების განვითარების ჯგუფის უფროსი, სამეცნიერო კვლევითი საქმიანობის განვითარების ჯგუფის უფროსი.

აქვეა განსაზღვრული საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების კრიტერიუმები: პირდაპირი შეფასების კრიტერიუმები (სტუდენტების აკადემიური მოსწრებისა და დასწრების-აქტივობის მონიტორინგის შედეგები), არაპირდაპირი შეფასების კრიტერიუმები (პროგრამის სტუდენტებისა და კურსდამთავრებულების გამოკითხვის შედეგები დასაქმების მაჩვენებელით, პროგრამის ხელმძღვანელებისა და პროგრამაში ჩართული პროფესორ-მასწავლებლების გამოკითხვის შედეგები, გარე შემფასებლების მიერ ჩატარებული შეფასების შედეგები, დამსაქმებლების გამოკითხვის შედეგები); საგანმანათლებლო პროგრამის ხარისხის შეფასების და განვითარების ეტაპები,საგანმანათლებლო პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის შეფასების ციკლი და პროცესის თანმიმდევრობა, პროგრამის სწავლის შედეგების შესაბამისობა ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს მიხედვით განსაზღვრულ სადოქტორო საფეხურის შესაბამის (დონე 8) დონესთან, პროგრამის სწავლის შედეგების სამიზნე ნიშნული, პროგრამის მიზნებისა და სწავლის შედეგების შესაბამისობა, პროგრამის სწავლის შედეგების მიღწევის სქემა.

მტკიცებულებები/ინდიკატორები

1. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობა“;
2. სასწავლო კურსების სილაბუსები;
3. აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის დასკვნა უმაღლესი საგანმანათლებლო სადოქტორო პროგრამის „მშენებლობა“ შესახებ;
4. სააკრედიტაციო პერიოდში პროგრამების შიდა და გარე ხარისხის შეფასების შედეგების ანალიზი
5. დოქტორანტურის საგანმანათლებლო პროგრამის „მშენებლობა“ სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში;
6. სწავლის შედეგების შეფასების მექანიზმი;

7. სწავლის შედეგების შეფასების ანგარიში; 8. საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის ვებგვერდი http://gtu.ge/quality/ 9. ვიზიტის შედეგად გონხორციელებული ინტერვიუს შედეგები.
რეკომენდაციები: წინადადება(ები), რომელიც უსდ-მ უნდა გაითვალისწინოს იმისათვის რომ პროგრამამ დააკმაყოფილოს სტანდარტის მოთხოვნები
რჩევები პროგრამის განვითარებისთვის არასავალდებულო ხასიათის რჩევები პროგრამის განვითარებისთვის
საუკეთესო პრაქტიკა (არსებობის შემთხვევაში): ○ პრაქტიკა, რომელიც არის გამორჩეულად ეფექტური და რომელიც შეიძლება გახდეს სამიზნე ნიშნული ან მაგალითი სხვა საგანმანათლებლო პროგრამებისათვის
მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი (მოქმედი აკრედიტებული პროგრამის შემთხვევაში) ○ მნიშვნელოვანი მიღწევები და/ან პროგრესი, რომელიც პროგრამაში განხორციელდა წინა აკრედიტაციის შემდეგ (ასეთის არსებობის შემთხვევაში)
შეფასება o გთხოვთ, შეაფასოთ პროგრამის სტანდარტის აღნიშნულ კომპონენტთან შესაბამისობა ✓ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან ☐ არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტი	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

თანდართული დოკუმენტაცია (არსებობის შემთხვევაში)

უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების სახელწოდება: საჯარო სამართლის იურიდიული პირი - საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტი

უმაღლესი საგანმანათლებლო პროგრამის სახელწოდება, საფეხური: მშენებლობა, დოქტორანტურა

დასკვნის გვერდების რაოდენობა: 33

პროგრამის სტანდარტთან შესაბამისობა

სტანდარტები	შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	მეტწილად შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	ნაწილობრივ შესაბამისობაშია მოთხოვნებთან	არ არის შესაბამისობაში მოთხოვნებთან
1. საგანმანათლებლო პროგრამის მიზანი, სწავლის შედეგები და მათთან პროგრამის შესაბამისობა	✓			
2. სწავლების მეთოდოლოგია და ორგანიზება, პროგრამის ათვისების შეფასების ადეკვატურობა	✓			
3. სტუდენტთა მიღწევები, მათთან ინდივიდუალური მუშაობა	✓			
4. სწავლების რესურსებით უზრუნველყოფა	✓			
5. სწავლების ხარისხის განვითარების შესაძლებლობები	✓			

აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის თავმჯდომარის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

თეიმურაზ ჯოჯუა



აკრედიტაციის ექსპერტთა ჯგუფის წევრის

სახელი, გვარი, ხელმოწერა

ნინო დონდოლაძე